



11.01.10 სოხუმის უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით მადლიერების დღე აღინიშნა. დემონსტრაციამ მსვლელობა უნივერსიტეტის შენობიდან დაიწყო. თვითმმართველობის ფორმებში გამოწყობილმა სტუდენტებმა მხიარული მუსიკის თანხლებით მადლობა უთხრეს სტუდენტებს, ლექტორებსა და ადმინისტრაციას. მოგვიანებით მსვლელობამ ქუჩაში გადაინაცვლა, სადაც სტუდენტებმა მადლობის წერილები დაარიგეს და ყველას გულთბილი მადლობა მოახსენეს. ჩატარებული ღონისძიება ფირზე აღიბეჭდა, მისი ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ მადლიერების საერთაშორისო დღე მომავალშიც არაერთხელ აღინიშნება.